საქართველო: ხელისუფლებამ დემონსტრანტების დასაშლელად გადამეტებული ძალა გამოიყენა

შეილახა ხელისუფლების რეპუტაცია, როგორც ადამიანის უფლებების დამცველისა

(თბილისი, 2007 წლის 20 დეკემბერი) – „საქართველოს ხელისუფლებამ 7 ნოემბერს გადამეტებული ძალა გამოიყენა, როდესაც სასტიკად დაარბია დემონსტრანტები ქვეყნის დედაქალაქში და შეიჭრა კერძო ტელეკომპანია „იმედში," - განაცხადა "Human Rights Watch"-მა დღეს გამოქვეყნებულ ანგარიშში.

2003 წლის მშვიდობიანი ვარდების რევოლუციის შემდეგ დასავლეთი მიესალმებოდა საქართველოს, როგორც ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნის დემოკრატიულ პრინციპებზე წარმატებით გადასვლის თვალსაჩინო მაგალითს და ადამიანის უფლებების ქომაგს. 7 ნოემბერს გადამეტებული ძალის გამოყენებამ გამოააშკარავა, თუ რაოდენ მყიფეა საქართველოს ხელისუფლების მიერ ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის დაცვა.

„ჩვენი კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ საქართველოს ხელისუფლება ზღვარს გადავიდა, როდესაც პოლიციელები მისდევდნენ და ურტყამდნენ მშვიდობიან დემონსტრანტებს, ემუქრებოდნენ და სცემდნენ ჟურნალისტებს," - განაცხადა ჰოლი კარტნერმა, "Human Rights Watch"-ის ევროპისა და ცენტრალური აზიის განყოფილების დირექტორმა. „7 ნოემბრის ოპერაციები არ წარმოადგენდა წესრიგის დამყარების ლეგიტიმურ საშუალებას. მათ სერიოზული ზიანი მიაყენეს საქართველოს, როგორც ადამიანის უფლებების დამცველის, რეპუტაციას."

102 გვერდიანი ანგარიში: „ზღვარს გადასვლა: საქართველოში დემონსტრანტების ძალის გამოყენებით დაშლა და ტელევიზია „იმედის" დარბევა" წარმოადგენს ხელისუფლების მიერ საპროტესტო აქციის დარბევისა და ტელევიზია „იმედში" შეჭრის შესახებ დღეისათვის არსებულ ყველაზე დეტალურ ანგარიშს. თვითმხილველების მიერ დაწვრილებით არის აღწერილი, თუ როგორ სასტიკად დაარბიეს პოლიციელებმა და სხვა სამართალდამცავებმა საპროტესტო აქციათა მონაწილეები 7 ნოემბერს ოთხი სხვადასხვა ინციდენტისას.

ანგარიშში ასევე დეტალურად არის ასახული კბილებამდე შეიარაღებული რაზმების მიერ განხორციელებული რეიდი ტელეკომპანია „იმედში" და მისი დახურვა. ამ ტელევიზიის ერთ-ერთი მფლობელია რუპერტ მერდოკის "ნიუსკორპი". ასობით

სპეცრაზმელი აშინებდა და ემუქრებოდა „იმედის“ თანამშრომლებს, სანამ გამოყრიდა მათ სტუდიებიდან და დააზიანებდა ტელეკომპანიის აპარატურის უმეტეს ნაწილს.

7 ნოემბერს პოლიციის მიერ ძალის გამოყენებით დასრულდა რამდენიმედღიანი მშვიდობიანი აქცია, რომელიც 2 ნოემბერს დაიწყო თბილისის ცენტრში, რუსთაველის გამზირზე განლაგებული პარლამენტის შენობის წინ. საქართველოს ოპოზიციური პოლიტიკური პარტიები მოითხოვდნენ საპარლამენტო არჩევნების 2008 წლის გაზაფხულზე დანიშვნას და იმ პირების გათავისუფლებას, ვისაც ისინი პოლიტიკურ პატიმრებად მიიჩნევდნენ. საპროტესტო აქციის ბევრი მონაწილე უჩიოდა უმუშევრობის მაღალ დონესა და სიღარიბეს, ასევე ხელისუფლებაში არსებულ კორუფციას.

დაახლოებით დღის 11 საათისთვის ოპოზიციის ლიდერების მოწოდების პასუხად, ხალხის დიდმა რაოდენობამ დაიწყო თავმოყრა პარლამენტის წინ, რათა გაეპროტესტებინა დილით ადრე დემონსტრანტებსა და მოშიმშილეებზე განხორციელებული რეიდი. ხელისუფლებამ სპეცდანიშნულების რაზმები მას შემდეგ ჩართო საქმეში, რაც დემონსტრანტებმა გაარღვიეს პოლიციელთა ხაზი და რუსთაველის გამზირზე გაიშალნენ. დაშლის თაობაზე მოკლე მოწოდებისა და დემონსტრანტების წინა რიგებისთვის წყლის ჭავლის შესხმის შემდეგ სპეცდანიშნულების რაზმებმა უმალ გაუშვეს ხალხში ცრემლსადენი გაზი და რეზინის ტყვიებიც გაისროლეს. ნიღბიანი სპეცრაზმელები და სხვა სამართალდამცავები მისდევდნენ გაქცეულ მომიტინგეებს, წიხლებს და მუშტებს ურტყამდნენ, ხელკეტებით, ხის ჯოხებითა და სხვა საგნებით სცემდნენ მათ. სპეცდანიშნულების რაზმებმა იმავე მეთოდებს მიმართეს, როდესაც ხალხი შეიკრიბა რიყეზე – ქალაქის ცენტრიდან რამდენიმე კილომეტრით დაშორებულ დიდ ღია ტერიტორიაზე, სადაც ტრანსპორტი არ მოძრაობს.

იმავე საღამოს, მოგვიანებით, ავტომატებითა და სხვა ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებული ასობით სპეცრაზმელი შეიჭრა ტელეკომპანია „იმედის“ სტუდიებში. იარაღის დამიზნებით მათ უბრძანეს ჟურნალისტებსა და ტელეკომპანიის სხვა თანამშრომლებს იატაკზე დაწოლილიყვნენ. მას შემდეგ, რაც ტელეკომპანიის ერთ-ერთმა წამყვანმა მოახერხა მაყურებლისათვის მოეთხრო სტუდიებში შეჭრის შესახებ, რამდენიმე წუთში „იმედის“ ეთერი გაითიშა. „იმედის“ თანამშრომლები გარეთ გამოყარეს, სპეცრაზმელებმა კი დაზიანეს და გაანადგურეს ტელეკომპანიის აპარატურის დიდი ნაწილი. შემდეგ სპეცრაზმელებმა „იმედის“ თანამშრომლები და ტელესტუდიის გარეთ, ჭიშკართან მოგროვილი მათი მხარდამჭერები ცრემლსადენი გაზით, რეზინის ტყვიებითა და ხელკეტებით დაარბიეს.

„იმედის“ მაუწყებლობა დეკემბრის შუა რიცხვებში, ხელისუფლებასა და "ნიუსკორპს" შორის ერთთვიანი ინტენსიური მოლაპარაკებების შემდეგ აღდგა. „იმედის“ ხელმძღვანელები აცხადებენ, რომ აპარატურის უმეტესი ნაწილი დაზიანებული ან გაუჩინარებულია.

ხელისუფლების მტკიცებით, საპროტესტო აქციების დაშლა და „იმედის“ დახურვა განხორციელდა მასობრივი არეულობისა და სახელმწიფო გადატრიალების საფრთხის თავიდან ასაცილებლად, რასაც ზურგს უმაგრებდნენ რუსეთის კონტრდაზვერვა და ბიზნესმენი ბადრი პატარკაციშვილი - ტელეკომპანია „იმედის“ დამფუძნებელი და ერთ-ერთი მფლობელი, რომელიც ოპოზიციას აფინანსებდა.

„მიუხედავად იმისა, რეალური იყო თუ არა სახელმწიფო გადატრიალების საფრთხე საქართველოში, ხელისუფლებას მაინც აკისრია ვალდებულება, პატივი სცეს ადამიანის ძირითად უფლებებს და უზრუნველყოს, რომ პოლიცია საპროტესტო აქციების დაშლისას მოქმედებდეს კანონიერად და საფრთხის პროპორციულად“, - განაცხადა კარტნერმა. „ხელისუფლების რეაგირება ნებისმიერ იმ საფრთხეზე, რომელსაც თითქოსდა უქმნიდა მას „იმედი“, აშკარად გადამეტებული იყო და ეწინააღმდეგება აზრის გამოხატვის თავისუფლებას“.

7 ნოემბერს, გვიან საღამოს, ხელისუფლებამ გამოაცხადა საგანგებო მდგომარეობა, რომელიც რვა დღის შემდეგ გაუქმდა. პოლიტიკური კრიზისის დასაძლევად პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა 8 ნოემბერს ნაადრევი საპრეზიდენტო არჩევნები 2008 წლის 5 იანვარს დანიშნა. საარჩევნო კანონმდებლობის თანახმად, სააკაშვილი გადადგა თანამდებობიდან 25 ნოემბერს. სააკაშვილი და რვა სხვა კანდიდატი, მათ შორის პატარკაციშვილი, იბძოლებენ პრეზიდენტის თანამდებობის მოსაპოვებლად.

„მიუხედავად იმისა, ვინ გაიმარჯვებს მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში, საქართველოს უამრავი რამ აქვს გასაკეთებელი იმისათვის, რომ უზრუნველყოს ანგარიშვალდებულება 7 ნოემბერს ჩადენილ სერიოზულ დარღვევებზე“, - განაცხადა კარტნერმა. „იმედის“ მაუწყებლობის განახლება მისასალმებელი ნაბიჯია, მაგრამ ხელისუფლებამ ასევე უნდა გამოიძიოს სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა მიერ ჩადენილი დანაშაულები და სამართალში მისცეს დამნაშავეები. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეიძლება ჰქონდეს ხელისუფლებას საზოგადოების ნდობისა და მხარდაჭერის იმედი.“

საქართველოს საერთაშორისო პარტნიორები, მათ შორის, უპირველეს ყოვლისა, ამერიკის შეერთებული შტატები და ევროკავშირი, მტკიცე მხარდაჭერას უწევდნენ პრეზიდენტ სააკაშვილს და მის ხელისუფლებას მას შემდეგ, რაც ისინი ქვეყნის სათავეში მოვიდნენ ვარდების რევოლუციის შედეგად. დასავლეთის ქვეყნები თავს იკავებდნენ იმისგან, რომ საჯაროდ გაეკრიტიკებინათ საქართველოს ხელისუფლება და ნდობით ეკიდებოდნენ მის არაერთხელ განცხადებულ კეთილ განზრახვებსა და რეფორმების გატარების დაპირებებს.

„7 ნოემბრამდეც არსებობდა სერიოზული ნიშნები იმისა, რომ საქართველოს ხელისუფლება ხელყოფდა კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების პრინციპებს, რომლებსაც ვარდების რევოლუციის დროს ქადაგებდა“, - განაცხადა კარტნერმა. „დროა, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ევროკავშირმა საჯაროდ გამოთქვან უკმაყოფილება საქართველოში ადამიანის უფლებების დარღვევების გამო და დაჟინებით მოითხოვონ ანგარიშვალდებულება 7 ნოემბრის მოვლენებზე“.

"Human Rights Watch"-ის ანგარიშის: „ზღვარს გადასვლა: საქართველოში დემონსტრანტების ძალის გამოყენებით დაშლა და ტელევიზია „იმედის“ დარბევა“ მოსაძიებლად ეწვიეთ ვებგვერდს:
http://hrw.org/reports/2007/georgia1207/

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:
თბილისში – გიორგი გოგიას (ინგლისურად, ქართულად, რუსულად): +995-77-42-12-35 (მობილური ტელეფონი)
თბილისში – ჯეინ ბიუქანანს (ინგლისურად, რუსულად): +995-77-42-12-35 (18-20 დეკემბერს); ან +1-917-553-4315 (მობილური ტელეფონი)
თბილისში – რეიჩელ დენბერს (ინგლისურად, რუსულად, ფრანგულად): +995-77-42-12-35 (მობილური ტელეფონი)